აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის საქმიანობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

(01.09.2017-დან - 01.09.2018-მდე)

2018 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შედეგად არჩეული უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია, რომელიც საქმიანობის განხორციელებას შეუდგა 2016 წლის 28 ნოემბრიდან, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის ამოქმედებისთანავე (24.05.2018) საქმიანობას აგრძელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სტატუსით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში.

საანგარიშო პერიოდში საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის მუშაობა მიმდინარეობდა კანონშემოქმედებითი და კომიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა საქმიანობის მიმართულებებით.

კომიტეტის საკანონმდებლო საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის საქმიანობის ძირითადი დატვირთვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტზე მუშაობა იყო. გარდა ამისა, კომიტეტი აქტიურად მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის დახვეწისა და მისი საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიმართულებით.

კომიტეტი, როგორც წამყვანი მუშაობდა შემდეგ ინიციატივებზე:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

კანონპროექტის მომზადება და ინიცირება გამოწვეული იყო საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 13 ოქტომბერს მიღებული საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“. აღნიშნული კონსტიტუციური კანონის მიღების მიზეზს კი წარმოადგენდა ის გარემოება, რომ 2004 წელს მიღებული საქართველოს კონსტიტუციური კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ შეიცავდა მნიშვნელოვან ხარვეზებს, როგორც შინაარსობრივი, ისე ტექნიკური თვალსაზრისით. კონსტიტუციური კანონი ვერ უზრუნველყოფდა უფლებამოსილებების მკაფიო და ჯეროვან გამიჯვნას სახელმწიფოს, ავტონომიურ რესპუბლიკასა და თვითმმართველ ერთეულებს შორის, მნიშვნელოვანი ხარვეზებით იყო დარეგულირებული ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ინსტიტუციური მოწყობა.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს კონსტიტუციური კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნული კანონის ამოქმედებიდან (19.10.2017-დან) არაუგვიანეს 6 თვისა (19.04.2018-მდე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს საქართველოს პარლამენტისათვის დასამტკიცებლად

უნდა წარედგინა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ ახალი კონსტიტუციური კანონიდან გამომდინარე ცვლილებები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, 2018 წლის 8 იანვარს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის, კერძოდ უმაღლესი საბჭოს 14 წევრის მიერ ინიცირებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

ინიცირებული კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 იანვრის №65 დადგენილებით შეიქმნა საორგანიზაციო კომისია, ხოლო კონსტიტუციური კანონის პროექტი გამოქვეყნდა სსიპ ,,საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებ-გვერდზე www.matsne.gov.ge (გამოქვეყნების თარიღი 17/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010010010.31.056.016057), ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.sca.ge და გაზეთ ,,აჭარას“ 2018 წლის 18-22 იანვრის №7 გამოცემაში.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვის ფორმატით გაიმართა 10 შეხვედრა:

1. ხულოს მუნიციპალიტეტში - 2018 წლის 22 იანვარს;
2. შუახევის მუნიციპალიტეტში - 2018 წლის 23 იანვარს;
3. ქედის მუნიციპალიტეტში - 2018 წლის 24 იანვარს;
4. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში - 2018 წლის 25 იანვარს;
5. ქობულეთის მუნიციპალიტეტში - 2018 წლის 26 იანვარს;
6. შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მასმედიის წარმომადგენლებთან - ,,ბათუმის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“, 2018 წლის 27 იანვარს;
7. შეხვედრა ,,პროფესიული კავშირების აჭარის ორგანიზაციასთან“ - 2018 წლის 27 იანვარს;
8. შეხვედრა სამართლის სფეროს წარმომადგენლებთან - ,,ადვოკატთა ასოციაციის“ ბათუმის ფილიალში - 2018 წლის 28 იანვარს;
9. შეხვედრა აკადემიურ წრეებთან, უმაღლესი საბჭოს ყოფილ წევრებთან და სტუდენტებთან ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში - 2018 წლის 29 იანვარს;
10. შეხვედრა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან - 2018 წლის 30 იანვარს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციურმა კანონმა სრულად ჩაანაცვლა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუცია. ამასთანავე მოხდა კონსტიტუციის მუხლების დასათაურება.

კონსტიტუციური კანონის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია შედგება პრეამბულის, 5 თავისა და 28 მუხლისაგან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის პრეამბულა ჩამოყალიბებულია ახალი რედაქციით.

პირველი თავი – ზოგადი დებულებები

●დათმობილი აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგად სტატუსს, ტერიტორიულ იურისდიქციას, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოების ჩამონათვალს, სიმბოლიკას და ადმინისტრაციულ ცენტრს;

მეორე თავი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებები, ფინანსები და ქონება

●„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ საქართველოს ახალი კონსტიტუციური კანონიდან გამომდინარე სიახლეებს შეიცავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების ჩამონათვალი, როგორიცაა – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული მიწის, ტყისა და წყლის რესურსების მართვა და განკარგვა; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და განვითარება; ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების და სხვა ინფრასტრუქტურის მართვა; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებების დადგენა და მინიჭება;

●ახალი კონსტიტუციური კანონიდან გამომდინარე ადგენს უფლებამოსილებათა უნივერსალობის პრინციპს, რომლის თანახმად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა გარდა განსაკუთრებულ უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხებისა ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის, გარემოს დაცვის სფეროში, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით არ მიეკუთვნება სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ უფლებამოსილებას ან ადგილობრივი თვითმმართველობის ექსკლუზიურ საკუთარ უფლებამოსილებას და რომლის განხორციელებაც საქართველოს კანონმდებლობით არ გამოირიცხება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უფლებამოსილებიდან;

●ადგენს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ახორციელებს სახელმწიფოს მიერ კანონით დელეგირებულ უფლებამოსილებებს.

●განსაზღვრავს, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესახებ კანონი, ნაცვლად სიითი შემადგენლობის უმრავლესობის კვორუმისა, მიიღება სრული შემადგენლობის უმრავლესობით;

მესამე თავი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

●აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებათა ახლებური რეგლამენტაცია;

●უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი კომისიების კომიტეტებით ჩანაცვლება;

●უმაღლესი საბჭოს დროებითი კომისიის შექმნის კონსტიტუციური რეგულირება და დროებითი კომისიის მუშაობაში ოპოზიციური ფრაქციების მონაწილეობის გარანტიები. ამასთანავე დროებითი კომისიის მოთხოვნით მის სხდომაზე გამოცხადება და საკითხის გამოკვლევისათვის აუცილებელი საბუთებისა და ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება;

●უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვისა და ინტერპელაციის კონსტიტუციური რეგლამენტაცია;

●უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის ურთიერთობის კონსტიტუციური სისტემის კაბინეტური პასუხისმგებლობის პრინციპზე დაფუძნება;

●მთავრობის თავმჯდომარის ვეტოს დაძლევის კვორუმის, ნაცვლად უმაღლესი საბჭოს წევრთა სამი მეხუთედისა, სრული შემადგენლობის უმრავლესობით განსაზღვრა, კანონის ხელმოწერასთან და გამოქვეყნებასთან დაკავშირებული პროცედურებისა და ამ პროცედურების ვადების დაზუსტება;

●უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხების ახლებურად დარეგულირება.

მეოთხე თავი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა

●აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, როგორც უმაღლესი აღმასრულებელი ორგანოს სტატუსის განსაზღვრა;

●მთავრობის, გარდა საქართველოს პრეზიდენტისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულებისა, საქართველოს მთავრობის წინაშე ანგარიშვალდებულებაც;

●მთავრობის დამტკიცების წესის ფუნდამენტური ცვლილება, რომლის შესაბამისად, ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობიდან ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტიდან 2 კვირის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილ პოლიტიკურ სუბიექტებთან კონსულტაციის შემდეგ უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას და მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატის მიერ დასახელებულ მინისტრების კანდიდატურებს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დამტკიცებას კენჭი ეყრება ერთიანად. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

●მთავრობის უნდობლობის საკითხის სრულიად ახალი რედაქციით წარმოდგენა. კერძოდ, მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების მოქმედი კონსტიტუციით დადგენილი ორი მესამედის კვორუმის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობამდე დაყვანა. უნდობლობის საკითხის აღძვრის შემდეგ მთავრობისათვის უნდობლობის არგამოცხადებისას, უმაღლესი საბჭოს იმავე წევრთა მიერ მომდევნო 6 თვის განმავლობაში უნდობლობის საკითხის აღძვრის დაუშვებლობა.

●მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად უმაღლესი საბჭოს დათხოვნის შემთხვევა;

●მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლების კონსტიტუციური რეგლამენტაცია;

●აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრების კანდიდატების საქართველოს შესაბამისი სამინისტროს მინისტრთან შეთანხმების პროცედურის გაუქმება;

●აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების სფეროების განსაზღვრა.

მეხუთე თავი

●აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღების, ასევე მისი გადასინჯვის კონკრეტული პროცედურების განსაზღვრა.

კონსტიტუციური კანონის მე-2, მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულია გარდამავალი დებულებები და კონსტიტუციური კანონის ძალაში შესვლასთან დაკავშირებული საკითხები.

კონსტიტუციური კანონი უმაღლესი საბჭოს მიერ განხილული და მიღებული იქნა 3 მოსმენით.

უმაღლესი საბჭოს მიერ მე-3 მოსმენით კონსტიტუციური კანონის პროექტი მიღებული იქნა 2018 წლის 21 მარტს.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისიის შექმნის თაობაზე“. დადგენილების პროექტის ინიცირება მოახდინა საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ.

დადგენილების პროექტით:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 105^2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტი (№09-01-08/56, 08.01.2018).

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 44-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 105^1 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, შეიქმნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის საჯარო განხილვის საორგანიზაციო კომისია 12 წევრისაგან, შემდეგი შემადგენლობით:

ა) დავით გაბაიძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე (კომისიის თავმჯდომარე);

ბ) მერაბ კარანაძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ) ნინო ჩხეტია – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

დ) ვლადიმერ მგალობლიშვილი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

ე) ილია ვერძაძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნება - მაჟორიტარები“-ს თავმჯდომარე;

ვ) დავით ბაციკაძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნება - აჭარა“-ს თავმჯდომარე;

ზ) გია აბულაძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი;

თ) პეტრე ზამბახიძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი წევრი;

ი) გიორგი ბერიძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსი (კომისიის მდივანი);

კ) არჩილ ხახუტაიშვილი – დემოკრატიის ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი;

ლ) თენგიზ თევზაძე – აღმოსავლეთ-ევროპის უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;

მ) ასლან ჭანიძე – თავისუფალ ჟურნალისტთა სახლის გამგეობის თავმჯდომარე.

(მიღებულია: 15.01.2018. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 17.01.2018)

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე. აღნიშნული საკანონმდებლო ინიციატივა წარმოდგენილი იყო უმაღლესი საბჭოს წევრების დავით გაბაიძისა და ნინო ჩხეტიას მიერ.

მისი შემუშავება განპირობებული იყო უმაღლესი საბჭოს წევრთა მიერ უმაღლესი საბჭოს პლენარულ და კომისიების სხდომებზე დაუსწრებლობის განმსაზღვრელი ნორმების ახლებური რეგულირების საჭიროებით, ხოლო რეგლამენტის პროექტის მიღების მიზანი იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით დადგენილი უმაღლესი საბჭოს პლენარული და კომისიის სხდომების გაცდენის საპატიო მიზეზებისა და პლენარული და კომისიის სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენის შემთხვევაში დადგენილი შესაბამისი რეაგირების მექანიზმების მარეგულირებელი ნორმების დახვეწა და მათი მკაფიოდ ჩამოყალიბება.

რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებები შეეხო უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 67-ე და 144-ე მუხლებს.

67-ე მუხლში შეტანილი ცვლილებით განისაზღვრა, რომ:

- თუ უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის გახსნისას ჩატარებული რეგისტრაციის შედეგების მიხედვით სხდომათა დარბაზში არ იმყოფება უმაღლესი საბჭოს წევრთა საკმარისი რაოდენობა, სხდომის თავმჯდომარე რეგისტრაციის ჩატარებიდან 15 წუთის განმავლობაში ატარებს ხელახალ რეგისტრაციას. თუ ამ შემთხვევაშიც არ აღმოჩნდა უმაღლესი საბჭოს წევრთა საკმარისი რაოდენობა, მომდევნო 45 წუთის განმავლობაში სხდომის თავმჯდომარე ატარებს ხელახალ რეგისტრაციას. განსაკუთრებულ შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია მიიღოს სხვა გადაწყვეტილება;

- უმაღლესი საბჭოს სხდომის გახსნისას და კენჭისყრის წინ უმაღლესი საბჭოს წევრთა რეგისტრაციის შემდეგ უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი აღრიცხავს უმაღლესი საბჭოს წევრთა დასწრებას. ფრაქციათა თავმჯდომარეები, ხოლო მათი არყოფნის შემთხვევაში – ფრაქციის მდივნები, რეგისტრაციამდე უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტს წერილობით აწვდიან ინფორმაციას მათი წევრების მიერ სხდომის გაცდენის მიზეზების თაობაზე. უმაღლესი საბჭოს წევრი, რომელიც არ არის გაერთიანებული ფრაქციაში, მის მიერ სხდომის გაცდენის მიზეზის თაობაზე სხდომამდე თვითონ აცნობებს წერილობით უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტს;

- თუ დადგენილ ვადაში რეგლამენტის 67-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირები არ მიაწვდიან უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტს ინფორმაციას, უმაღლესი საბჭოს წევრს პლენარული სხდომა არასაპატიო მიზეზით გაცდენილად ჩაეთვლება;

- უმაღლესი საბჭოს წევრს პლენარული სხდომა არასაპატიო მიზეზით გაცდენილად არ ჩაეთვლება, თუ ფრაქცია, უმაღლესი საბჭოს წევრი პოლიტიკური შეხედულებების გამო უარს აცხადებს პლენარულ სხდომაზე საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში მონაწილეობაზე. ამის თაობაზე წერილობითი განცხადება წარედგინება სხდომის თავმჯდომარეს ან კეთდება ზეპირი განცხადება რეგისტრაციის დასრულების შემდეგ;

- უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ პლენარული ან/და კომისიის სხდომების გაცდენის საპატიო მიზეზად ითვლება ავადმყოფობა, ოჯახური მდგომარეობა – ოჯახის წევრის ავადმყოფობა ან გარდაცვალება, სამსახურებრივი მივლინება. კომისიის სხდომის გაცდენის შემთხვევაში, ამ პუნქტით გათვალისწინებული მიზეზების თაობაზე კომისიის წევრის მიერ სხდომამდე წერილობით ინფორმირებული უნდა იქნეს კომისიის თავმჯდომარე (მოადგილე). პლენარული სხდომის გაცდენის შემთხვევაში, ამ პუნქტით გათვალისწინებული მიზეზების თაობაზე სხდომამდე ინფორმირებული უნდა იქნეს ფრაქციის თავმჯდომარე (მდივანი).“.

- უმაღლესი საბჭოს წევრის მიერ უმაღლესი საბჭოს პლენარული ან/და კომისიის სხდომის გაცდენის საპატიო მიზეზი უნდა დადასტურდეს:

ა) ავადმყოფობის შემთხვევაში – საავადმყოფო ფურცლით, რომელიც უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტს, ხოლო კომისიის სხდომის გაცდენის შემთხვევაში, შესაბამისი კომისიის აპარატს წარედგინება საავადმყოფო ფურცლის დახურვიდან 1 კვირის ვადაში;

ბ) სამსახურებრივ მივლინებაში ყოფნის შემთხვევაში – უმაღლესი საბჭოს წევრის მივლინების შესახებ უფლებამოსილი პირის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტს, შესაბამისი კომისიის აპარატს გადაეცემა აქტის გამოცემისთანავე.

144-ე მუხლში შეტანილი ცვლილებით დეტალურად გაიწერა სანქციებთან დაკავშირებული საკითხების აღსრულების მექანიზმები, კერძოდ:

- უმაღლესი საბჭოს წევრს, რომლის მიმართაც სხდომათა დარბაზის დატოვების მოთხოვნა გამოიყენეს, დაექვითება სანქციის გამოყენების დღის თანამდებობრივი სარგო;

- თუ 2 კომისიაში გაწევრიანებული უმაღლესი საბჭოს წევრი კალენდარული თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით ორჯერ ან მეტჯერ არ დაესწრება კომისიების სხდომებს, მას გაცდენილი თითოეული სხდომისათვის დაექვითება არასაპატიო მიზეზით გაცდენილი კომისიის სხდომის დღის თანამდებობრივი სარგო, ხოლო თუ 1 კომისიაში გაწევრიანებული უმაღლესი საბჭოს წევრი კალენდარული თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება კომისიის სხდომას, მას გაცდენილი თითოეული სხდომისათვის დაექვითება არასაპატიო მიზეზით გაცდენილი კომისიის სხდომის დღის თანამდებობრივი სარგო. უმაღლესი საბჭოს წევრის კომისიის სხდომაზე არასაპატიო მიზეზით დაუსწრებლობის ფაქტი ფორმდება კომისიის სხდომის ოქმში, რის შემდეგაც კომისიის სხდომის ოქმის ამონაწერი სხდომის თავმჯდომარის მიერ ეგზავნება ბუღალტერიას ამ პუნქტით გათვალისწინებული თანხის დასაქვითად;

- თუ უმაღლესი საბჭოს წევრი კალენდარული თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დაესწრება პლენარულ სხდომას, მას დაექვითება პლენარული სხდომის დღის თანამდებობრივი სარგო. უმაღლესი საბჭოს წევრის პლენარულ სხდომაზე არასაპატიო მიზეზით დაუსწრებლობის ფაქტი უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და

საქმისწარმოების დეპარტამენტის მიერ ფორმდება საოქმო ჩანაწერით. მომდევნო თვის 10 რიცხვამდე უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი საოქმო ჩანაწერის საფუძველზე ადგენს პლენარული სხდომის არასაპატიო მიზეზით გამცდენ უმაღლესი საბჭოს წევრთა სიას და უგზავნის ბუღალტერიას ამ პუნქტით გათვალისწინებული თანხის დასაქვითად;

- რელამენტის 144-ე მუხლის მე-7 და 7^1 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში უმაღლესი საბჭოს წევრისათვის დაქვითული თანხის საერთო რაოდენობა კალენდარული თვის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის თანამდებობრივი სარგოს 50%-ს;

- ამასთანავე რელამენტის 144-ე მუხლის მე-7 და 7^1 პუნქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ ვრცელდება უმაღლესი საბჭოს წევრზე რიგგარეშე სესიის ან რიგგარეშე სხდომის პერიოდში;

- კომისია ყოველთვიურად ადგენს კომისიის სხდომების გამცდენ უმაღლესი საბჭოს წევრთა სიას, თითოეული მათგანის მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილი სხდომების რაოდენობისა და გაცდენის თარიღების მითითებით. კომისიის სხდომების არასაპატიო მიზეზით გამცდენ უმაღლესი საბჭოს წევრთა სია პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით გადაეცემა უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს;

- ყოველი სესიის ბოლოს უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი ადგენს არასაპატიო მიზეზით უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომების გამცდენ უმაღლესი საბჭოს წევრთა სიას, ფრაქციების მითითებით, თითოეული მათგანის მიერ გაცდენილი სხდომების რაოდენობისა და გაცდენის თარიღების მითითებით. პლენარული სხდომების არასაპატიო მიზეზით გამცდენ უმაღლესი საბჭოს წევრთა სია პროაქტიულად გამოქვეყნების მიზნით გადაეცემა უმაღლესი საბჭოს აპარატის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს.

(მიღებულია: 21.12.2017. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 03.01.2018)

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის თაობაზე. რეგლამენტის პროექტის ავტორები და ინიციატორები იყვნენ უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე, ნინო ჩხეტია და დავით ბაციკაძე.

პროექტის მიღების მიზეზი იყო, ერთის მხრივ უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში არსებული სამართლებრივი ვაკუუმის შევსება. კერძოდ, რეგლამენტის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტი უმაღლესი საბჭოს სხდომის თავმჯდომარეს ანიჭებდა უფლებას რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სხდომაზე გამოეცხადებინა შესვენება. უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი შესვენების გამოცხადებას კი მხოლოდ პლენარული სხდომის დღის 14 საათიდან 16 საათამდე ან/და კენჭისყრის წინ ითვალისწინებდა.

მეორეს მხრივ, პროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენდა რეგლამენტის 73-ე მუხლის მე-6 პუნქტი. კერძოდ, აღნიშნული ნორმა კენჭისყრის წინ 10 წუთიანი შესვენების მოთხოვნის უფლებას ანიჭებდა ფრაქციებს (და არა ფრაქციას).

რეგლამენტში განხორციელებული ცვლილებით შეივსო ის სამართლებრივი ვაკუუმი, რომელიც რეგლამენტის 69-ე მუხლის მე-2 პუნქტში შესვენების გამოცხადების საკითხთან დაკავშირებით არსებობდა. ასევე გასწორდა ფრაქციებთან მიმართებაში შესვენების მოთხოვნასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარვეზი.

(მიღებულია: 15.01.2018. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 17.01.2018)

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“. რეგლამენტის პროექტის ინიცირება მოახდინეს უმაღლესი საბჭოს წევრებმა - დავით გაბაიძემ და ნინო ჩხეტიამ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლის მიზნით უმაღლეს საბჭოში იქმნება კომიტეტები.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში“ ცვლილების შეტანის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული იყო, რომ კონსტიტუციური კანონის ამოქმედებისთანავე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტის უფლებამოსილებას იძენს კანონის ამოქმედების დროისათვის მოქმედი უმაღლესი საბჭოს კომისია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის გარდამავალ დებულებებში დაემატა შესაბამისი პუნქტი, რომელმაც მოაწესრიგა კომისიის სახელწოდების ცვლილებიდან გამომდინარე სამართლებრივი საკითხები და შესაბამისად გამორიცხა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული სამართლებრივი კოლიზიებისა და ვაკუუმის წარმოქმნა. კერძოდ, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 148-ე მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი, რომლის თანახმადაც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ორგანული კანონის ძალაში შესვლისთანავე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტის და კომიტეტის აპარატის უფლებამოსილებას შეიძენს 2018 წლის 21 მარტს უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის ამოქმედების დროისათვის მოქმედი უმაღლესი საბჭოს კომისია და კომისიის აპარატი, ხოლო კომისიის თავმჯდომარე – კომიტეტის თავმჯდომარის უფლებამოსილებას დარჩენილი უფლებამოსილების ვადით.

(მიღებულია: 17.05.2018. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 18.05.2018)

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 26 იანვრის №22 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე. დადგენილების პროექტი ინიცირებული იყო უმაღლესი საბჭოს წევრების - ნუგზარ სურმანიძის და ვახტანგ წულაძის მიერ.

აღნიშნული დადგენილების მომზადება განპირობებული იყო უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატების წარმომადგენლების სამსახურში მიღების წესის ცვლილებით, რომელიც გამომდინარეობდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს ახალი კანონიდან. კერძოდ, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრი არის სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, ხოლო ამავე კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის უშუალო აპარატის/სამდივნოს/ბიუროს თანამშრომელი საჯარო სამსახურში მიიღება ადმინისტრაციული ხელშეკრულებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუკი ცვლილებამდე მდგომარეობით მაჟორიტარი დეპუტატების წარმომადგენლები სამსახურში მიღებული

იყვნენ შრომითი ხელშეკრულებით, ცვლილების მიღების შემდეგ მათი სამსახურში აყვანა ხდება ადმინისტრაციული ხელშეკრულებით. გარდა ამისა, დადგენილებაში შეტანილი ცვლილებით, უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენლებისათვის უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტიდან გამოყოფილი ყოველთვიური თანხა გათვალისწინებული არის მხოლოდ შრომის ანაზღაურებისათვის, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობით ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირზე გასაცემი თანხა, მხოლოდ შრომის ანაზღაურებისათვის შეიძლება იქნეს გათვალისწინებული და არა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის.

(მიღებულია: 15.01.2018. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 17.01.2018)

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 18 სექტემბრის №112 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე. პროექტის ავტორი და ინიციატორი იყო უმაღლესი საბჭოს წევრი დავით გაბაიძე.

დადგენილების პროექტის მიღებას და შესაბამისად უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 18 სექტემბრის №112 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას გააჩნდა, როგორც სამართლებრივი ისე ფაქტობრივი გარემოებები. კერძოდ, ანაზღაურებადი სტაჟირებისათვის თანხის გამოყოფა ხდებოდა საბიუჯეტო კლასიფიკაციით „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან (შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება). „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 83-ე მუხლის თანახმად, პირის შრომითი ხელშეკრულებით საჯარო სამსახურში მიღებისათვის ცხადდება გამარტივებული საჯარო კონკურსი ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე. შესაბამისად, იმისათვის, რომ პირზე მითითებული მუხლიდან გაიცეს ანაზღაურება, ის უნდა იქნეს შერჩეული გამარტივებული კონკურსის შედეგად და მასთან უნდა გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება (მოხდეს შტატგარეშე მოსამსახურედ აყვანა). საჟირების პრინციპი კი ითვალისწინებს დაწესებულებასთან არა შრომით ურთიერთობებში მყოფი პირების მიერ შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, მაღალკვალიფიციური კადრების, მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობას.

რაც შეეხება ფაქტობრივ გარემოებებს უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის 18 ივნისს №410 დადგენილებით დამტკიცებულია „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესი და პირობები“, რომლითაც დაინტერესებულ პირებს აქვთ შესაძლებლობა გაიარონ სტაჟირება საჯარო დაწესებულებებში, მათ შორის უმაღლეს საბჭოშიც. გარდა ამისა, მხედველობაში იქნა მიღებული უმაღლესი საბჭოს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური პირობებიც.

აღსანიშნავია, რომ დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების მიუხედავად, უმაღლეს საბჭოში სტაჟირების გავლის სურვილის მქონე შესაბამის პირებს აქვთ სამართლებრივი შესაძლებლობა ერთის მხრივ უმაღლეს საბჭოში სტაჟირება გაიარონ საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ზემოაღნიშნული დადგენილებით, ხოლო მეორეს მხრივ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ დამტკიცებული უმაღლეს საბჭოში სტაჟირების გავლის წესის შესაბამისად.

(მიღებულია: 16.11.2017. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 21.11.2017)

8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის შრომის ანაზღაურების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე.

აღნიშნული კანონპროექტი ინიცირებული იყო უმაღლესი საბჭოს წევრების - დავით გაბაიძის და ნინო ჩხეტიას მიერ.

კანონპროექტის მიღება გამომდინარეობდა „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონიდან. აღნიშნული კანონის მე-18 მუხლის თანახმად, სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოები დგინდება იმავე კანონის დანართი №3-ით, თუმცა კანონის 36-ე მუხლის თანახმად აღნიშნული რეგულაცია ამოქმედდება 2021 წლიდან. 2021 წლამდე კი იმავე კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოები განისაზღვრება შესაბამისი საშტატო ნუსხით და დგინდება არაუმეტეს ამ თანამდებობის პირებისათვის 2017 წელს გაცემული საშუალო თვიური შრომის ანაზღაურების მიხედვით. განსხვავებული წესით თანამდებობრივი სარგოს დადგენა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის პროცესში.

კანონის აღნიშნული რეგულაციებიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების (სტატუსის შესაბამისად) თანამდებობრივი სარგოების დადგენა 2018-2020 წლებში მოხდება უმაღლესი საბჭოს საშტატო ნუსხით, რომელსაც დაამტკიცებს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

(მიღებულია: 15.01.2017. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 17.01.2017)

უმაღლესი საბჭოს მიერ საანგარიშო პერიოდში საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საქართველოს კანონის პროექტები, რომლებზეც უმაღლეს საბჭოში წამყვანი იყო საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი და რომელიც კომიტეტის თავმჯდომარის ჩართულობით იქნა მომზადებული

1. საქართველოს კანონის პროექტები - „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე“. პროექტის ავტორები იყვნენ უმაღლესი საბჭოს წევრები დავით გაბაიძე, ნინო ჩხეტია და ვახტანგ წულაძე.

„გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებამდე რედაქციის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული იყო გრანტის მიმღებთა ჩამონათვალი, რომელთა შორისაც გრანტის მიმღებ სუბიექტებში არ იყვნენ ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოები.

ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებს გრანტების პირდაპირი მიღების უფლებამოსილების შემთხვევაში ეძლევათ შესაძლებლობა საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, სოციალური პროექტების, აგრეთვე საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისათვის ოპერატიულად მიიღონ მიზნობრივი სახსრები ფულადი ან ნატურალური ფორმით, რაც აამაღლებს ავტონომიური რესპუბლიკების სახელისუფლებო ორგანოების როლსა და მნიშვნელობას და ხელს შეუწყობს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია რომ ,,გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონმა გრანტების მიმღების ნაწილში სამართლებრივად მოიცვა ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოები.

აღსანიშნავია, რომ ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოების – სამინისტროების გრანტის გამცემ სუბიექტთა ჩამონათვალში დამატების კუთხით საქართველოს პარლამენტში პარარელურად ინიცირებული და განხილვის პროცესში იყო კანონის პროექტი „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თობაზე (№07-2/482, 05.05.2016. ინიციატორი: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო), რომლის შესაბამისადაც, ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროს ეძლეოდა გრანტის გაცემის შესაძლებლობა.

პარლამენტში ორივე ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ ინიცირებულმა კანონპროექტებმა ავტონომიურ რესპუბლიკებთან მიმართებაში საკანონმდებლო დონეზე ერთიანობაში მოაწესრიგეს გრანტების გაცემისა და მიღების საკითხები.

(მიღებულია: 30.11.2017. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 08.12.2017)

2. საქართველოს ორგანული კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის დამტკიცების თაობაზე.

ორგანული კანონის პროექტი მომზადებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის დავით გაბაიძის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის ნინო ჩხეტიას მიერ.

საქართველოს ორგანული კანონის პროექტით გათვალისწინებული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ 2018 წლის 21 მარტს მიღებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ დამტკიცება.

ორგანული კანონის პროექტი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტი საქართველოს პარლამენტში ინიცირებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 21 მარტის №69 დადგენილებით.

ორგანული კანონის პროექტი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტი საქართველოს პარლამენტის ბიუროს 2018 წლის 26 მარტის 144/6 გადაწყვეტილებით განიხილა პარლამენტის 9 კომიტეტმა, მათ შორის წამყვანი იყო - იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.

ორგანული კანონის პროექტი და უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის კომიტეტებში წარადგინეს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დავით გაბაიძემ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ნინო ჩხეტიამ, ხოლო პარლამენტის პლენარულ სხდომაზე - უმაღლესი საბჭოს თავმდომარემ დავით გაბაიძემ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტის 9-ვე კომიტეტმა და პლენარულმა სხდომამ შენიშვნებისა და წინადადების გარეშე, ასევე წინააღმდეგობის გარეშე დაუჭირა მხარი საქართველოს ორგანული კანონის პროექტს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის დამტკიცების თაობაზე.

(მიღებულია: 04.05.2018. გამოქვეყნებულია: სსმ ვებგვერდზე 24.05.2018)

ხელმოწერების ნამდვილობის შემოწმება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიამ 2018 წლის 11 იანვრის სხდომაზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 104-ე მუხლის შესაბამისად, განიხილა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების ხელმოწერების ნადვილობის გადამოწმების შედეგები, რომელიც ეხებოდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის პროექტის (№09-01-08/56, 08.01.2018) საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარდგენის უფლების განხორციელებას.

გადამოწმების შედეგად, წარმოდგენილ საკანონმდებლო ინიციატივაზე დადგინდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 14-ვე ხელმომწერი წევრის ხელმოწერის ნამდვილობა.

საკადრო საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში, კომიტეტმა წარმოდგენილი მასალების შესწავლის საფუძველზე მოამზადა შესაბამისი დასკვნები და უმაღლესი საბჭოს დადგენილებების შემდეგი პროექტები:

– „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“;

– „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრის - მეურვის კანდიდატურის საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენის შესახებ“;

კომიტეტების პერსონალური შემადგენლობის არჩევა

საანგრიშო პერიოდში უმაღლესი საბჭოს კომიტეტებში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით მომზადებული და ინიცირებული იქნა 1 დადგენილების პროექტი.

საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში კომისიის მიერ განხილულ იქნა:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018-2021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი.
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა“.
3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი;

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

6. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შესახებ“;

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვა“.

8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2018 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების მიმოხილვა“.

განხილულ საკითხებთან დაკავშირებით კომიტეტის მიერ მომზადებული იქნა შესაბამისი დასკვნები, რომლებიც მიწოდებული იქნა შესაბამის სუბიექტებზე.

დამოუკიდებელი ორგანოს ანგარიშის განხილვა

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის მიერ განხილულ იქნა სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიში“.

ამავე ანგარიშის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის საგაზაფხულო სესიაზე განხილვის მიზნით კომიტეტის მიერ მომზადებული და ინიცირებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს 2017 წლის საქმიანობის ანგარიშის განხილვის პროცედურის განსაზღვრის შესახებ“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები

უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ კანონმდებლობით დადგენილ ვადებში შევსებული და საჯარო სამსახურის ბიუროში წარდგენილია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები. კომიტეტი და კომიტეტის აპარატი პერიოდულად ეცნობა უმაღლესი საბჭოს წევრების ქონებრივ დეკლარაციებს.

საანგარიშო პერიოდში უმაღლესი საბჭოს წევრების მიერ შევსებული ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები გამოქვეყნებულია საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდზე (www.declaration.gov.ge).

სტატისტიკური მონაცემები საანგარიშო პერიოდში კომიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ

საკანონმდებლო საქმიანობის სტატისტიკა

უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები	მათ შორის კომიტეტის/კომიტეტის თავმჯდომარის მიერ მომზადებული/ინიცირებული
19	12

კომიტეტის სხდომების სტატისტიკა

სხდომების რაოდენობა	განხილული საკითხი	მიღებული დასკვნა
21	29	24
შენიშვნა:	საანგარიშო პერიოდში კომიტეტის მიერ ჩატარებულია 8 ერთობლივი სხდომა	

კომიტეტში შემოსული და კომიტეტიდან გასული კორესპონდენციის სტატისტიკა

შემოსული კორესპონდენცია	გასული კორესპონდეცია
396	184

კომიტეტის წევრების მიერ მოქალაქეთა მიღების სტატისტიკა

მიღებულ მოქალაქეთა რაოდენობა 187	
შენიშვნა:	მოქალაქეთა მიღების სტატისტიკა მომზადებულია საქმისწარმოების განყოფილების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით

წარმოდგენილ ანგარიშში ასახულია ყველა ის ძირითადი სამუშაო, რაც საანგარიშო პერიოდში უმაღლესი საბჭოს რეგლამენტისა და სხვა სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა შესაბამისად შეასრულა საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა კანონშემოქმედებით, საკონტროლო და კომისიის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა საქმიანობის მიმართულებით.

კომიტეტის თავმჯდომარე ნინო ჩხეტია